დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, ,,სამკერვალო წარმოება“, ,,ელექტროობა“, ,,სასტუმრო მომსახურება“ ,,სკოლამდელი აღზრდა“, ,,ვებტექნოლოგიები“, ,,თმის მომსახურება“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი |
| წევრები: |
| მაია ომიაძე |
| მანანა კობალაძე |
| ნინო ბოკუჩავა |
| გიული გურგენიძე |
| დავით გუდაზე |
| ნინო მოწყობილი |
| ქეთევან ღვანიძე |
| ცოტნე ქორჩილავა |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ გეგმიური
- ☐ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ბუღალტრული აღრიცხვა | 30 | | |
| სამკერვალო წარმოება | 28 | | |
| ელექტროობა | 30 | | |
| სასტუმრო მომსახურება | 30 | | |
| სკოლამდელი აღზრდა | 30 | | |
| ვებტექნოლოგიები | 30 | | |
| თმის მომსახურება | 28 | | |

## IV. საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“(შემდგომში ცენტრი) 2023 წლის 1 სექტემბერს N 1066546 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" საგანმანათლებლო პროგრამების "სამკერვალო წარმოება'', "თმის მომსახურება", "ელექტროობა", "სასტუმროს მომსახურება", "სკოლამდელი აღზრდა", "ვებტექნოლოგიები", "ბუღალტრული აღრიცხვა" მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის და ასევე, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, დაევალა ვიზიტის განხორციელება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2023 წლის 20 და 21 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში (მის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ.N 76 მიმდებარე ტერიტორია) ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 4) ადამიანური რესურსები | (დაწესებულებისსტანდარტის შეფასება) მიერსაბოლოო | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | | სრულად შეესაბამება |
| 5) მატერიალური, საინფორმაციორესურსები და ფინანსური | (დაწესებულებისსტანდარტის შეფასება) მიერსაბოლოო | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | სრულად შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | სრულად შეესაბამება |

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2.3 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მედდის გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებით - **შესრულებულია** - კოლეჯმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და მედდის პირადი საქმით წარმოადგინა საქართველოს ექთნების ასოციაციის მიერ გაცემული სერტიფიკატი, პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო კურსის გავლის შესახებ.

5.1.1.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - **შესრულებულია**, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც პსდ-ს მისამართზე (ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას #76-ის მიმდებარე ტერიტორია) არსებული შენობა-ნაგებობის საკუთრების უფლება გადაცემული აქვს 99 წლის ვადით (საკადასტრო კოდი: 27.06.52.629).

5.1.1.4 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შენობა ცენტრალური გათბობის სისტემით - **შესრულებულია**, დაწესებულებაში ცენტრალური გათბობის სისტემა მოთავსებულია შენობის ჭერში და გათვლილია როგორც გათბობის, ასევე გაგრილებისთვის. დაწესებულებაში ვიზიტის დროს დეტალურად დათვალიერდა ცენტრალური გათბობის სისტემა და აღნიშნული სისტემის ქვაბი. დაწესებულებამ აგრეთვე, მტკიცებულებად წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

5.1.1.5 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დაცვა - **შესრულებულია,** კოლეჯს ხელშეკრულებით ჰყავს დასაქმებული სერთიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც კოლეჯის სამივე ფართზე ახორციელებს აღნიშნულ მოვალეობას. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერმა წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც ლანჩუთის სასწავლო ფართის ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხელმოწერით ადასტურებენ ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე დასწრებას.

5.1.1.11 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მომხმარებლისთვის პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა - **შესრულებულია**, დაწესებულებაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სადაც განთვასებულია სასწავლო რესურსი, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ლეპტოპი) პროფესიული სტუდენტებისათვის, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი ბიბლიოთეკარისათვის და ასლგადამღები. (იხ.ინდიკატორის დეტალური აღწერა).

5.1.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ლანჩხუთის სასწავლო ფართისთვის დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - **შესრულებულია,** დაწესებულებამ წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის 6 თებერვალს გაცემული ბრძანება (N ბ30. 302303722) ,რომლის თანახმადაც, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ.N76 -ის მიმდებარედ განთავსებული კოლეჯ „ჰორიზონტის" შენობა ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისია. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო- ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლების აქტი, რომელის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგრადობა სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის N370 დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტს „სახანძრო უსაფრთხოების წესისა და პირობების შესახებ".

5.1.2.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმების ამოქმედება - **შესრულებულია,** კოლეჯში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია როგორც ექთნის, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი (112). ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.2.1.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან - **შესრულებულია**, დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განხორციელების, ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკისათვის, რაც დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი მტკიცებულებით (ბალანსზე რიცხული საშუალებების ჩამონათვალი).

5.2.1.5 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების მუდმივად ხელმისაწვდომობა

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის - შესრულებულია, „მატერიალური რესურსების მართვის, სარგებლობისა და განკარგვის წესის“ თანახმად, კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით (იხ.ინდიკატორის დეტალური აღწერა).

5.2.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს პსდ-ში კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესის ამოქმედება ლანჩხუთის სასწავლო ფართზე - **შესრულებულია**, დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის N04-10 ბრძანებით განხორციელებულია ცვლილება კოლეჯ „ჰორიზონტის“ „საქმისწარმოების წესში“, რომლითაც განსაზღვრულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე შემოსული კორესპოდენციების მართვა და პასუხისმგებელი პირი.

განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულება

4.1.1.1 რეკომენდირებულია, დამტკიცდეს სამუშაო აღწერილობები კონკრეტული დასაქმებული პირების სახელის და გვარის მითითების გარეშე - **გათვალისწინებულია**, დაწესებულებას თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული და გაწერილი აქვს სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია პოზიციაზე დასაქმებული პირების სახელებისა და გვარების გარეშე.

4.1.2.2 რეკომენდირებულია დაზუსტდეს განათლების მიმართულება/მიმართულებები და სამუშაო გამოცდილების სფერო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტის და მედდის პოზიციისთვის - **გათვალისწინებულია**, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტის პოზიციისთვის გაწერილია მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა - უმაღლესი განათლება და სასურველი მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება მატერიალური რესურსების მართვის მიმართულებით, ხოლო მედდის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებულია მინიმუმ პროფესიული განათლება ჯანდაცვის მიმართულებით, რაც უნდა დასტურდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის კომპეტენციით ან პროფესიული კვალიფიკაციით საექთნო საქმის სპეციალობით.

5.1.1.6 რეკომენდირებულია დაზუსტდეს მასალა-ნედლეულის უზრუნველყოფის პროცედურები ლანჩხუთის სასწავლო ფართისთვის - **გათვალისწინებულია**, დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის #04-158 ბრძანებით დამტკიცებულია „ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მატერიალური რესურსის მართვის,სარგებლობისა და განკარგვის წესი“., რომლითაც განსაზღვრულია ის პროცედურები, რაც უნდა განხორციელდეს კოლეჯის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.7 რეკომენდირებულია , სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი ლანჩხუთის სასწავლო ფართზე რესურსების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებით - **გათვალისწინებულია**, თუმცა დაწესებულების მიერ აღნიშნული პროცედურები გაწერილია მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობისა და განკარგვის წესში. ვინაიდან , ინდიკატორის მოთხოვნაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებდეს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, ექპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა ზემოშნიშნული პროცედურები გაიწეროს უშუალოდ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში.

5.1.2.4 რეკომენდირებულია განთავსდეს გამაფრთხილებელი წარწერები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ - **გათვალისწინებულია,** დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით.

5.2.3.1 რეკომენდირებულია საკანონმდებლო აქტებს ვებგვერდზე მიეთითოს დამტკიცების აქტის მონაცემები - **გათვალისწინებულია.**

5.2.3.4 რეკომენდირებულია დაწესებულებამ კატალოგში სრულყოფილად ასახოს ინფორმაცია ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე რისი განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას ფილიალებთან მიმართებით - **გათვალისწინებულია**, დასტურდება ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერებით.

5.2.3.5 რეკომენდირებულია გაიწეროს დაწესებულების რეგულაციით კატალოგზე პასუისმგებელი პირი და მისი მოვალეობები - **გათვალისწინებულია**, კოლეჯის პროგრამების კატალოგის მომზადება/განახლება და ვებგვერდზე განთავსებაზე პასუხისმგებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომლის აღნიშნული ფუნქციაც გაწერილია სამუშაო აღწერილობით.

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა - ,,სამკერვალო წარმოება“

1. 2.2.1.1 ინდიკატორი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამის ფარგლებში მოდულისათვის - „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ - კოლეჯს ჰყავს 2 პარტნიორი: სამკერვალო ფაბრიკა - შ.პ.ს „ოზურგეთი დენიმი“ რომელთან გაფორმებული 2023 წლის 17 ივლისის №9 ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია აცხადებს მზაობას კოლეჯმა მოდული განახორციელოს მათ ბაზაზე(არა უმეტეს 14 პროფესიული სტუდენტისა ერთ მიღებაზე). სამკერვალო ფაბრიკა - შპს ,,ლემასი ფროდაქშენ“ აგრეთვე აცხადებს მზაობას კოლეჯმა მოდული განახორციელოს მათ ბაზაზე (არა უმეტეს 14 პროფესიული სტუდენტისა ერთ მიღებაზე).
ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის შპს ,,ლემასი ფროდაქშენ“ დათვალიერება. გასაუბრებისას აღმოჩნდა , რომ აღნიშნული ობიექტი წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვა დასახელებით (შ.პ.ს „ელსელემი“ გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის №8 ხელშეკრულება), რომელშიც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაო რეჟიმის აღდგენა სარემონტო სამუშაოების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლებასთან, ვერ მოხდა დათქმულ ვადებში, რის გამოც მოხდა მისამართის და კომპანიის დასახელების ცვლილება. პრაქტიკის ობიექტი, სამკერვალო შპს ,,ლემასი ფროდაქშენი“ მდებარეობს ქ. ლანჩხუთში საყოფაცხოვრებო ობიექტის ბაზაზე, კერძო სახლის პირველ სართულზე. ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი. დათვალიერების შედეგად ექსპერტთა შეფასებით გარემო პირობები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მოდულის - „საწარმოო პრაქტიკის სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ - სწავლის შედეგების მიღწევა არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შეყვანა არ არის რეკომენდირებული, რადგან არ არის დაცული ჰიგიენური-სანიტარული ნორმები. შენობაში იყო ბეტონის იატაკი, შეიმჩნეოდა სინესტე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ იყო გათბობა-კონდიცირების საშუალებები, იყო ღიად გაყვანილი ელექტროსადენები, შესაბამისად არ იყო დაცული შრომის უსაფრთხოების ნორმები. რაც შეეხება აღჭურვილობას, იყო მოძველებული მოდელები .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან პროგრამის განხორციელების მდგრადობა ეჭქვეშ არ დგება იმ შემთხვევაში თუ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მხოლოდ 1 (ერთ) საწარმოში (შ.პ.ს „ოზურგეთი დენიმი“) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეწყდეს შპს ,,ლემასთან“ გაფორმებული ხელშეკურლება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ვებტექნოლოგიები“

2.1.1.2 - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი მოდულების განმახორციელებლი 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პირადი საქმის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დარგობრივი მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელს ი.ხ -ს არ უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, ვინაიდან მას აქვს მესამე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის კვალიფიკაცია. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანამანთებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია, შესაბამისად აღნიშნული პირი ვერ შეძლებს პროგრამის განხორციელებას. თუმცა აღანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ მაქსიმალური კვირეული დატვირთვა შეადენს 34 საკონტაქტო საათს, შესაბამისად 1 პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია პროგრამის განხორციელება ერთი ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისათვის დაწესებულებამ ხელშეკლეულებით აიყვანოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი. შესაბამისად კოლეჯს ეძლევა განმავიათარებელი რეკომენდაცია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლად დაიმატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონდე პროფესიული განათლების მასწავლებლი.

2.1.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პესონალის პირადი საქმის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დარგობრივი მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელს ი.ხ -ს არ უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, ვინაიდან მას აქვს მესამე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის კვალიფიკაცია. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანამანთებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია, შესაბამისად აღნიშნული პირი ვერ შეძლებს პროგრამის განხორციელებას. თუმცა აღანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ მაქსიმალური კვირეული დატვირთვა შეადენს 34 საკონტაქტო საათს, შესაბამისად 1 პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია პროგრამის განხორციელება ერთი ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშნველოვანია პროგრამის მდგრადობისათვის დაწესებულებამ ხელშეკლულებით აიყვანოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი. შესაბამისად კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლად დაიმატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონდე პროფესიული განათლების მასწავლებლი.

განმავითარებელი რეკომენდაცია ყველა პროფეესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით:

2.2.1.7 -დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისგან. ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 6 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგებაშემდეგი ხარჯებისაგან:

1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება;
2. სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი;
3. ადმინისტრირების ხარჯი.

დაწესებულების მიერ შედგენილ ბიუჯეტში მოცემული ხარჯის ტიპი - ,,სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი „ არის ზოგადი და არ იძლევა კონკრეტული ინფორმაციას, რას მოიაზრებს და მოიცავს იგი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია საპროგნოზო ბიუჯეტის ხარჯში კონკრეტულად გაწეროს ისეთი მნიშნელოვნი კომპონენტები როგორიცაა: პროფეიული განათლების მასწავლებელთა განვითარება, მალასა- ნედლეულის ხარჯი, პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონიძიებების ადმინისტრირება და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XI. სტანდარტების შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულებას თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული და გაწერილი აქვს სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თითოეული თანამდებობისთვის გაწერილი ფუნქცია - მოვალეობა შეესაბამება არსებულ პოზიციას და მჭიდროდ უკავშირდება დასაქმებულის სამუშაო პროცესს. სამუშაო აღწერილობები განყოფელ ნაწილად თან ახლავს შრომით ხელშეკრულებას და მისი გაცნობა დასტურდება დასაქმებულის ხელმოწერით. დაწესებულებას, 2023 წლის 4 აგვისტოს N04-150 ბრძანებით დამტკიცებული აქვს თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები, რომლებშიც ფუნქციები დეტალურად და მკაფიოდაა განსაზღვრული. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციის თანახმად, სამუშაო აღწერილობები დამტკიცებულიყო კონკრეტული დასაქმებული პირების სახელის და გვარის გარეშე, მხოლოდ პოზიციის მითითებით - შესრულებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

კოლეჯ „ჰორიზონტის“ ლანჩხუთის სასწავლო ფართს მართავს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, რომელიც ექვემდებარება კოლეჯის დირექტორის მოადგილეს. ლანჩხუთის სასწავლო ფართში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი პირების გარდა განსაზღვრულია 10 ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი წარმართავს სასწავლო პროცესს და ზრუნავს ფილიალის გამართულ მუშაობასა და ადმინისტრირებაზე. სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა ფუნქციურად დატვირთულია და მოიცავს აღნიშნულ პოზიციაზე საქმისწარმეობის ერთიანი სისტემის eflow-ს საშუალებით შემოსული კორესპოდენციის გადაგზავნას კოლეჯის საქმისმწარმოებელთან, შემდგომი რეაგირების მიზნით. ბიბლიოთეკარის ფუნქცია - მოვალეობის შესრულებას, წიგნადი ფონდის როგორც მატერიალურად, ასევე ელეტრონული სახით ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი პასუხისმგებელია ბიბლოითეკის გამართულ ფუნქციონირებაზე, პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ კონსულტირებაზე. ლანჩხუთის სასწავლო ფართს აგრეთვე ემსახურებიან დარაჯები, დამლაგებლები, მედდა და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაწესებულების უსაფრთხოებაზე, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, მატერიალურ აღჭურვილობასა და ინვენტარზე. კოლეჯ „ჰორიზონტის" ლანჩხუთის სასწავლო ფართის ადმინისტრაციული და ფინანსური მართვა ხორციელდება ოზურგეთის ცენტრალური ფილიალიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან: დირექტორის მოადგილესთან, იურისტთან, შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტთან, ფინანსურ მენეჯერთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ისინი ხელშეკურლლებით ნაკისრ გარკვეულ ვალდებულებებს შეასრულებენ ასევე ლანჩხუთის სასწავლო ფართზეც. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კოლეჯ „ჰორიზონტის" დირექტორის მიერ 2020 წლის 30 ნოემბრის N04-202 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის ინსტრუქცია, ხოლო 2023 წლის 4 აგვისტოს N04-146 ბრძანებით (ცვლილება N04-168, 21.09.2023) - სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე. ხარისხის შეფასება ხორციელდება დემინგის ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. ხარისხის მართვის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და ამზადებს შესაბამის ანგარიშს. შეფასების ინსტრუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც განმახორციელებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებთან ერთად უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან - სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან ერთად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით. დაწესებულებაში, მიმდინარე სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვასა და ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვერიფიკაციის მექანიზმით;
- ხარისხის მართვის ინსტრუქციით;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით;
- სამუშაო აღწერილობებით;
- შინაგანაწესით.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N04-06 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მისი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში, პერსონალის შეფასება, პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი, პერსონალის პროფესიული განვითარება, მათ შორის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება, პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სხვა. ასევე, ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის" დამფუძნებელთა საერთო კრების 2020 წლის 5 მაისის სხდომის ოქმით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და შრომით ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს თანამშრომლებთან ურთიერთობის საკითხს. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში არსებული მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2.პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

კოლეჯ „ჰორიზონტის" დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რეგულირდება შესაბამისი ვაკანტური პოზიციისთვის გამოცხადებული კონკურსის ვადები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულია აქვს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი თითოეულ თანამდებობასთან მიმართებით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრისN 04-06 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობა ეძლევათ როგორც კოლეჯის თანამშრომლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს. კოლეჯის შეუფერხებელი საქმიანობიდან და ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა კადრი შეირჩეს თანამშრომლებს შორის ღია კონკურსის გამოცხადების გარეშე. ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა კონკურსების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ბრძანებები და საკონკურსო კომისიის ოქმები, რაც სრულად ცხადყოფდა კონკურსის საჯაროობასა და ობიექტურობას. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ კიდევ ერთხელ გადამოწმდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დადგინდა, რომ გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაცია. კერძოდ, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტის პოზიციისთვის

გაწერილია მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა - უმაღლესი განათლება და სასურველი მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება მატერიალური რესურსების მართვის მიმართულებით, ხოლო მედდის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებულია მინიმუმ პროფესიული განათლება ჯანდაცვის მიმართულებით, რაც უნდა დასტურდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის კომპეტენციით ან პროფესიული კვალიფიკაციით საექთნო საქმის სპეციალობით.
ვინაიდან წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მოსაზრებით, მედდის ფარმაცევტის კვალიფიკაცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვერ უზრუნველყოფდა პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობას, კოლეჯმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და მედდის პირადი საქმით წარმოადგინა საქართველოს ექთნების ასოციაციის მიერ გაცემული სერტიფიკატი, პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო კურსის გავლის შესახებ. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 4 აგვისტოს N04-150 ბრძანებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დასაქმებულთა პირადი საქმეები და დადგინდა, რომ თითოეული თანამშრომელი აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წინა ინდიკატორის გათვალისწინებით, კოლეჯმა 6 თვიანი შესაბამისობის გეგმის ფარგლებში უზრუნველყო მედდის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო კურსით.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯ „ჰორიზონტის“ დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N04-6 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, ხოლო 2023 წლის 30 მაისის N04-103 ბრძანებით - ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და კოლეჯთან ინტეგრაციის წესი, სადაც დეტალურადაა აღწერილი დასასაქმებელი პირისთვის წინარე სახელშეკრულებლო პერიოდიდან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ადმინისტრირების პროცესები, დასაქმებულის სამუშაო ადგილითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და ადაპტაციის გეგმის შემუშავების მექანიზმები. კოლეჯის მიერ

შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილი მექანიზმების შესაბამისად, უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, მათ შორის პროგრამის შემუშავების, ინიცირების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვა პროცესებთან დაკავშირებით. კოლეჯის ფუნქციონირება ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს და მოვალეობებიც დელეგირებულია მართვის პროცესში. კოლეჯის თანამშრომლებთან ინეტერვიურებითაც დასტურდება, რომ თანამშორმლები აქტიურად არიან ჩართულნი მიმდინარე და დელეგირებულ საკითხებთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასწავლო ფართების ფუნქციონირებისა და ადმინისტრაციული მხარდაჭერისათვის ახალ თანამშრომლებს უზიარებენ მიღებულ გამოცდილებას და არსებული ადამიანური რესურსით ხელს უწყობენ კოლეჯის ინსტიტუციურ განვითარებას. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საკავლიფიკაციო მოთხოვენბითა და სამუშაო აღწერილობებით;
- შინაგანაწესით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით;
- ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და კოლეჯთან ინტეგრაციის წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტში" ქ.ლანჩხუთში, ჟორდანიას #76-ის მიმდებარე ტერიტორიაზე . დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რესტირდან, რომლის მიხედვითა პსდ-ს აღნიშნულ მისამართზე არსებული შენობა-ნაგებობის საკუთრების უფლება გადაცემული აქვს 99 წლის ვადით (საკადასტრო კოდი: 27.06.52.629)
აზომვითი ნახაზზე მოცემულია ფართების განაწილება. შენობა ერთსართულიანია, საერთო ფართი კი შეადგენს 119.68 მ2.
ლანჩხუთის სასწავლო ფართზე გარემოების განაწილება შემდეგია: 3 A - გარემო, 1 A-B გარემო, 2 A-C გარემო, 1 B გარემო, 4 C გარემო. სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, სამკითხველო დარბაზი და ბიბლიოთეკა, პროფესიულ სტუდენტთა სარეკრეაციო ზონები, გარდერობის ოთახები, სანიტარული კვანძები.
დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაიცია და მიღება- ჩაბარების აქტები. ლანჩხუთის სასწავლო ფართზე განთავსებული რესურსები კოლეჯის დირექტორის მიერ მიღება ჩაბარების აქტით გადმოცემული აქვს მატერიულური რესურსები უზრუნველყოფის სპეციალისტს ქ.ლანჩხუთის მისამართზე. ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამისად ფუნქციონირებას. შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის #04-158 ბრძანებით დამტკიცებულია ლანჩხუთის „სასწავლო ფართზე მატერიალური რესურსის მართვის,სარგებლობისა და განკარგვის წესი". აღნიშნული წესის მე-3 მუხლით რეგულირდება კოლეჯის მატერიალური რესურსით სარგებლობა, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ არსებული მატერიალური რესურსით, ბიბლიოთეკით, საერთო სივრცეებით და ა.შ.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, მათ დაადასტურეს, რომ კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის N04-156 ბრძანებით დამტკიცებულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დამლაგებლებთან, რომლებიც ზრუნავენ შენობის სისუფთავეზე. დალაგება ხდება სველი წესით წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა სველი წერტილების, დერეფნის, სხვადასხვა სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. კოლეჯის შენობაში არის სისუფთავე და წესრიგი, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

წინა წარმოების ფარგლებში კოლეჯი არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, კოლეჯმა შეიმუშავა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რის გამოც ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია“ სტანდარტის მოთხოვნებთან. მიმდინარე მონიტორინგისას, დაწესებულებაში ვიზიტის დროს დეატლურად დათვალიერდა როგორც ცენტრაული გათბობის სისტემა, ასევე აღნიშნული სისტემის ქვაბი. ცენტრალური გათბობის სისტემა მოთავსებულია შენობის ჭერში და გათვლილია როგორც გათბობის, ასევე გაგრილებისთვის. დაწესებულებამ ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

კოლეჯ „ ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის #04-168 ბრძანებით დამტკიცებულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე შრომის უსაფრთხოების და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის წესი. აღნიშნული წესის მიხედვით შრომით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირია შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი. კოლეჯს ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი სერთიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც კოლეჯის სამივე ფართზე ახორციელებს აღნიშნულ მოვალეობას. წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს სერტიფიკატის მოქმედების ვადა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იყო გასული. კოლეჯმა შეიმუშავა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რის გამოც ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი

შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.
მიმდინარე წარმოების ფარგლებში, გადამოწმდა შრომის უსაფრთოხების დაცვალზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე. დაწესებულებას ჰყავს მოქმედი, სერთიფიცირებული სპეციალისტი. ვიზიტის დროს, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერმა წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც ლანჩხუთის სასწავლო ფართის ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხემოწერით ადასტურებენ ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე დასწრებას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 04.08.2023 წლის N 04-146 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის 26-ე მუხლში (სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრა მოთხოვნა შესყიდვა) დეტალურად არის გაწერილი სასწავლი პროცესისათვის საჭირო მასალა ნედლეულის მოთხოვნისა და სასწავლო პროცესში გამოყენების ზოგადი პროცედურა. დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის #04-158 ბრძანებით დამტკიცებულია „ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მატერიალური რესურსის მართვის,სარგებლობისა და განკარგვის წესი“. აღნიშნული წესით განსაზღვრულია ის პროცედურები, რაც უნდა განხორციელდეს კოლეჯის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კოლეჯში იქმნება შესაბამისი ჯგუფი, რომელიც ადგენს საჭირო აღჭურვილობა-ნედლეულის ჩამონათვალს, ხოლო მატერიალური რესურსების კოორდინატორი მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს მოთხოვნილ რესურსებს ან/ და მასალა-ნედლეულს შესაბამის პირს. წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციაა, ლანჩხუთის სასწავლო ფართისთვის. მასალა-ნედლეულის უზრუნველყოფის პროცედურების დაზუსტებასთან დაკავშირებით, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ლანჩხუთის სასწავლო ფართისთვის დამტკიცებული დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის #04-158 ბრძანებით „სასწავლო ფართზე მატერიალური რესურსის მართვის,სარგებლობისა და განკარგვის წესის" მეხუთე მუხლით რეგულირდება რესურსების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი უზრინველყოფენ დაწესებულების მატერიალური რესურსების მუდმივ შეფასებას და განვითარებას, ზემოაღნიშნულ წესში ასევე მოცემულია რესურსების შეფასების ფორმა. ასევე დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერსა და სპეციალისტს ფუნქცია მოვალეობებში გაწერილი აქვთ მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი.
წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განვითარების რეკომენდაცია -სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში შევიდეს ცვლილება და დაემატოს ჩანაწერი ლანჩხუთის სასწავლო ფართზე რესურსების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ აღნიშნული პროცედურები გაიწერა მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობისა და განკარგვის წესში, თუმცა ვინაიდან ინდიკატორის მოთხოვნაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებდეს დაწესებულების რესურსების რეგულარუ შეფასებასა და განვითარებას. ექპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა ზემოშნიშნული პროცედურები გაიწეროს უშუალოდ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში.

8 პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

კოლეჯი არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები მამაკაცებისთვის და ქალებისთვის. თითოეულში არის კაბინები, ასევე არის 2 საპირფარეშო შშმ პირებისთვის-ქალისთვის და მამაკაცისთვის. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით, დამონტაჟებულია ხელსაბანები, გათბობა და ვენტილაცია. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, აქვს უწყვეტი განათება. სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის ( ერთი სანიტარული კვანძი ადაპტირებულია)

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილება

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლებელში ყველა სასწავლო ფართი, რომელიც განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ასევე ბიბლიოთეკა, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებით.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

დაწესებულებაში განთავსებული ყველა ფართი ემსახურება სასწავლო მიზნებს და დაგეგმარებულია იმგვარად , რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმყოფილებულია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებაში ბიბლიოთეკა არ იყო აღჭურვილი სათანადო რესურსებით და ექსპერტთ მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი'' მიმდინარე წარმოებისას დათვალიერდა ბიბლიოთეკის გარემო. დაწესებულებაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სადაც გათვასებულია სასწავლო რესურსი როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი (ლეპტოპი) პროფესიული სტუდენტებისათვის, სამუშაო მაგიდა და კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის და ასლგადამღები.
ლანჩხუთის სასწავლო ფართზე პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომსახურებას სასწავლო რესურსების კუთხით ახორციელებს სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია განსაზღვრული აქვს დირეტორის ბრძანებით.
წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში მოქმედებს დაწესებულების მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, გამოკრულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის რეგულაციები მიხედვით, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და ინტერნეტრესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 ლეპტოპი, სადაც პროგრამების მიხედვით ჩაწერილია ელექტრონული სასწავლო რესურსი, სამუშაო მაგიდა და კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის და ასლგადამღები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
➢ შენობის აზომვითი ნახაზი;
➢ შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
➢ „სასწავლო ფართზე მატერიალური რესურსის მართვის,სარგებლობისა და განკარგვის წესი“
➢ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესი;
➢ შრომის უსაფრთხოების და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის წესი;
➢სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
➢პერსონალის პირადი საქმეები
➢ პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
➢ ვიზუალური დათვალიერება.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებამ წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის 6 თებერვალს გაცემული ბრძანება (N ბ30. 302303722) რომლის თანახმადაც, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ.N76 -ის მიმდებარედ განთავსებული კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ შენობა ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარდა. წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესაბამისად ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბმისი“

მიმდინარე წარმოებისას დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო- ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლების აქტი, რომელის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგრადობა სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის N370 დადგენილების - ტექნიკურს რეგლამენტს ,,სახანძრო უსაფრთხოების წესისა და პირობების შესახებ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის #04-168 ბრძანებით დამტკიცებულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე ,,შრომის უსაფრთხოების და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის წესი“, რომელიც არეგულირებს პირვალდი გადაუდებელი დახმარების პროცედურებს. წინა წარმოების ფარგლებში მედდას არ უდასტურდებოდა პირვლადი გადაუდებელი დახმარების გაწევის კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. შესაბამისად ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“

მიმდიანრე წარმოების ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება და პირადი საქმე . მას გავლილი აქვს რამდენიმე კომპანიის მიერ ორგანიზებული ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ. ჩატარდა მასთან გასაუბრება. მედდამ წარმოადგინა ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

ადგილზე დათვალიერდა პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია როგორც ექთნის, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი (112).

ზეამოაღნიშნულის გათვალისწინებით აღნიშნული ინდოკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 დეკემბრის #04-205 ბრძანებით დამტკიცებულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა , რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახრთან 2022 წლის 15 ნოემბერის N MIA 82203548018 კორესპონდენციით.

გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი, რომლის წევრებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯის ყველა შენობაში გამოკრულია სათანადო სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმები, კოლეჯი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ლანჩხუთის სასწავლო ფართზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა აკისრია კოლეჯის დარაჯებს. კოლეჯს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 4 პირთან, რომლებიც უზრუნველყოფონ შენობაში წესრიგის დაცვას. კოლეჯის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე

დამოტაჟებულია ვიდეოკამერები და მიმდინარეობს ჩაწერა. კამერების ფუნქციონირება გადამოწმდა ექსერტთა მიერ ადგილზე ვიზიტისას.

დერეფნებში გამოკრულია გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ვიდეო ჩაწერა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების შემთხვევათა აღრიცხვის ჟურნალი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- დასკვნა შენობა -ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან;
- შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრის შემოწმების/დათვალიერების შედეგები;
- დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულება სრულად არ იყო აღჭურვილი კომპიუტერული ინფრასტრუქტურით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობიდ 6 თვიანი გეგმის საფუძვლეზე ექსერპტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.
მიმდინარე ვიზიტისას დათვალიერდა ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა 76-ის მიმდებარედ არსებულ შენობა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით.. ისინი განკუთვნილია პროგრამების, ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკისათვის, რაც დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი მტკიცებულებით ( ბალანსზე რიცხული საშუალებების ჩამონათვალი). თანამშრომელებთან ინტერვიუს მეშვეობით დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. გაფორმებულია ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან შპს ‘’სქაიტელთან’’. ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობის შესაძლებლობა. კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უსადენო, ასევე სადენიანი ინტერნეტი. დაწესებულების ყველა სივრცეში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსადენო ინტერნეტთან დაკავშირების ინსტრუქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

დაწესებულებას შემუშვებული აქვს ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტის ‘’IT რისკების მართვის პოლიტიკის’’ დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა პროცესის ეფექტურ მართვას და ადგენს კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს. აღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებულია ის თავისებურებები, რომლებიც აუცილებელია ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და ასევე მოიცავს რეკომენდაციებს IT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მეთოდების შესახებ. დაწესებულებაში ინფორმაციული რისკების მართვის პროცესი შედგება შემდეგი პროცესებისგან: ორგანიზაციული გარემოს დადგენა, რისკების შეფასება, რისკებთან მოპყრობა, რისკების მიღება, რისკების შესახებ ინფორმირება, რისკების მონიტორინგი და განხილვა. ხოლო რისკებთან მოპყრობის ეფექტიანობა დამოკიდებულია რისკის შეფასების შედეგებზე. რეგულაციის თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგიების დაცვის სფეროებს წარმოადგენს: კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა, კოლეჯში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები. კოლეჯი ახორციელებს ინფორმაციულ აქტივებზე კონტროლს არაავტორიზებული წვდომის ჩარევის ან დაზიანებისგან თავიდან ასაცილებლად. ინციდენტების იდენტიფიცირებას რაც გულისხმობს თითოეული ინციდენტის შესწავლას, აღწერასა და მათზე რეაგირებას. რასთან დაკავშირებითაც სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად წარმოადგენს ანგარიშს ინფორმაციული ინციდენტების, მათი წყაროების მიხედვით, გამოსწორებისა და ოპტიმიზაციის რეკომენდაციებთან ერთად. დაწესებულებას ჰყავს IT სპეციალისტი ქსელის ადმინისტრატორი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც იგი პასუხისმგებელია კოლეჯში არსებული კომპიუტერების საჭირო პროგრამებით უზრუნველყოფასა და განახლებაზე, მათ შორის ანტივირუსულ პროგრამაზე. კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელ მუშაობასა და კომპიუტერების ქსელში ჩართულობაზე, ინტერნეტპროვაიდერთან ურთიერთობასა და წამოჭრილი პრობლემების ოპერატიულად აღმოფხვრაზე, თანამშრომლების დახმარებასა და ახსნა-განმარტების მიცემაზე კომპიუტერთან მუშაობისას წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. გასაუბრებით გაირკვა რომ აღნიშნული პირი კვირაში ორჯერ ახორციელებს ვიზიტს ქ. ლანჩხუთის ლოკაციაზე არსებულ შენობაში და ასრულებს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. კოლეჯის რისკების მართვის დოკუმენტის თანახმად, აუცილებელია კრიტიკულ სისტემებზე კონტროლის განხორციელება, საზიანო ან თაღლითური პროგრამების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან კოლეჯი ახორციელებს სისტემის კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული ვირუსების გავრცელება.
შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, გამომდინარე აქედან, აღნიშნული ინდიკატორი, ფასდება როგორც ''სრულად შეესაბამება''

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის წესი'', დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტის დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის ბრძანებით, რომელიც შესაბამისობაშია ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონთან. დოკუმენტით განსაზღვრულია რეგულაციის მოქმედების სფერო, მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები, ინფორმაცია განსაკუთრებულ და ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ და სხვა დამატებითი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით. მონაცემთა უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. გარდა ამისა, დაწესებულების ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის წესი'', პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან მიმართებაში, მოიცავს ჩანაწერს, რომელიც ეხება კოლეჯში ვიდეოთვალთვალის განხორციელებას. ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაწესებულებაში მიმდინარეობს მხოლოდ დანაშაულის თავიდან აცილების, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნებისთვის. ასევე ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით, კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას, სუბიექტის გაფრთხილების მიზნით, განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. დაწესებულების რეგულაციის თანახმად, გარკვეული მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

. დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის განვითარება ხორციელდება კოლეჯის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე. IT სისტემის შეფასებასა და არსებულ ხარვეზთა გამოსწორებასთან დაკავშირებით, კოლეჯის ''IT რისკებისმართვისა და პოლიტიკის მიხედვით'' სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად წარმოადგენს ანგარიშს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ, მათი გამოსწორებისა და ოპტიმიზაციის რეკომენდაციებთან ერთად. დაწესებულების რეგულაციის თანახმად, IT სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი ვალდებულია უზრუნველყოს კოლეჯის საოფისე კომპიუტერული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში ცალკეული დიაგნოსტიკა და ოპერაციული შეკეთება, ხოლო შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთებული მოთხოვნით უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება და შუამდგომლობით მიმართვასერვის ცენტრში შეკეთების თაობაზე. ა(ა)იპ კოლეჯ ''ჰორიზონტის'' ''მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესის'' თანახმად, კოლეჯის განკარულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვა, შენახვას, განვითარებასა და გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით ახორციელებს მატერიალური რესურსებისუზრუნველყოფის სპეციალისტი. დოკუმენტის დანართის სახით, ასევე განსაზღვრულია ფორმა, მატერიალური რესურსების შეფასებებისა და განვითარების გეგმებისთვის, რომლებიც მოიცავს მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაციას, შეფასების კრიტრიუმებს, პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას, შენიშვნის ველს, შეფასების შედეგებსა და მათზე რეაგირებას. შესაბამისად, განხილული დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს მექანიზმები საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასებისთვის და უზრუნველყოფს მას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

დაწესებულების რეგულაციის თანახმად, კოლეჯში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურეობა ხელმისაწვდომია კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტებისათვის. წინა წამოების ფარგლებში დაწესებულება არ იყო აღჭურვილი ინფორმაციული ტეექნოლოგიების პროცესებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ მიერ შემუშავებულ შესაბამისობის 6 თვიანი გეგმის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“
მიმდინარე ვიზიტისას დათვალიერდა დაწესებულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც განთავსებულია სასწავლო გარემოებში, ბიბლიოთეკასა და სამუშაო ოთახებში. ასევე ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ისე კაბელიანი ინტერნეტი. ‘‘მატერიალური რესურსების მართვის, სარგებლობისა და განკარგვის წესის’’ თანახმად, კოლეჯის თანამშრომლებსა და შემდგომში უკვე პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით, რომლებიც დაწესებულების ‘‘საბიბლიოთეკო წესის’’ თანახმად ასევე მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურებისხელმისაწვდომობას.
დაწესებულებაში ვიზიტისას ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ დადასტურდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მომსახურების ხელმისაწავდომობა, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კოლეჯი კომუნიკაციის მიზნით, იყენებს ელ-ფოსტის მისამართებს . ასევე კოლეჯში გამოიყენება ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება. როგორებიცაა: დაწესებულების ოფიციალური დომეინით ამოქმედებული ვებ-გვერდი, სოციალური გვერდი, Ms Teams. მათი საშუალებით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფეიულ სტუდენტთა და პერსონალთა ერთიან საკომუნიკაციო სივრცეს. გამომდინარე აქედან, განხილული დოკუმენტაციებისა და არსებული მექანიზმების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენება .შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის პოლიტიკა"

➢ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);

➢ IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;

➢ ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;

➢ კაბელიანი/უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;

➢ დაწესებულების პერსონალის ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;

➢ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;

➢ პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის #04-275 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“ საქმისწარმოება კოლეჯში აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით. მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებლის მოვალეობაა: კოლეჯში შემოსული ყველა სახის დოკუმენტის რეგისტრაცია, პირველად დამუშავება, ელექტრონულ “pdf” ფორმატში გადაყვანა და ადრესატისათვის დაუყოვნებლივი გადაგზავნა; კოლეჯში მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტის დედანის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მისი შემსრულებლისათვის წარდგენა; დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი; დოკუმენტის ჩამოწერის (უზრუნველყოფა არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტაციის დროული გაგზავნის უზრუნველყოფა; მატერიალურად გასაგზავნი დოკუმენტის ამობეჭდვა და საჭიროების შემთხვევაში მატერიალური ხელმოწერის უზრუნველყოფა; დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა, დოკუმენტების რეგისტრაცია და ადრესატებისათვის მიწოდება; საქმისწარმოების წესის აქტუალიზება, წესისა და მასში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა პერსონალისათვის; საარქივოდ საქმეთა მომზადება და გადაცემა საარქივო საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის; საქმეთა ნომენკლატურის პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად წარდგენა; სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება რაც უზრუნველყოფს კოლეჯში საქმისწარმოების შეუფერხებელ და სწორ წარმართვას. დაწესებულებაში საქმისმწარმოებელი საშტატო განრიგით არის გათვალისწინებული. წინა წარმოების ფარგლებში „საქმისწარმოების წესში“ არ იყო გათვალისწინებული ლანჩხუთის სასწავლო ფართზე საქმისწარმოების პროცედურა, თუ როგორ ხდება შემოსული კორესპოდენციების მართვა და ვინ არის პასუხისმგებელი პირი ლანჩხუთის სასწავლო ფართზე. კოლეჯის მიერ შემუშავებული შესაბამისობის 6 თვიანი გეგმის საფუძველზე ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

მიმდინარე წარმოების ფარგლბში გადამოწმდა საქმისწამოების პროცედურა. ლანჩხუთის სასწავლო ფართზე შემოსულ კორესპოდენციებს ეფლოუს საშუალებით საქმისმწარმოებელს უგზავნის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტი, რომელსაც სამუშაო აღწერილობით აქვს დაკისრებული საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულება ლანჩხუთის სასწავლო ფართზე. დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის N04-10 ბრძანებით შესულია ცვლილება ,,საქმისწარმოების წესში“, რომლითაც განსაზღვრულია ლანჩხუთის სასწავლო ფართზე შემოსული კორესპოდენციების მართვა და პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის -,,eflow”-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 28 აგვისტოს N 40/დ ბრძანებით დამტკიცებულია ,,დაწესებულების რეესტრში მუშაობის წესი", რომელიც გაწერილია კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების პირობები. დირექტორის ბრძანებით რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია ელექტრონული და საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას evet.emis.ge სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი", რომელიც არეგულირებს დოკუმენტების მოძრაობას, დავალებების შესრულების კონტროლისა და დოკუმენტის შესრულების ვადებს, მათ შორის განსაზღვრულია დოკუმენტის და დავალების შესრულების კონტროლის პროცედურები, დოკუმენტის შესრულების ვადები, დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის მექანიზმები. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“; (ბოლო ცვლილება -20.01.2023 N04-10)
- დაწესებულების რეესტრში მუშაობის წესი;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://horizonti.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/collegehorizonti . ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია ვებგვერდზე განთავსებულ საკანონმდებლო აქტებს მიეთითოს დამტკიცების აქტის მონაცემები. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებლია.

სოციალური ქსელი იძლევა დაწესებულებასთან კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგად ასევე ვლინდება რომ დაწესებულება აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტებსა და კონკურსებში. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის, ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) მისი პერსონალის, სტრუქტურისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია სიახლეები, ინფორმაცია განხორციელებული პროექტების / სტუდენტური სერვისების შესახებ, სხვადასხვა სახის კითხვარები, ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, დაწესებულების შინაგანაწესი, წესდება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და სხვადასხვა მარეგულირებელი აქტები, რომლებსაც მითითრებული აქვს დამტკიცების ბრძანების რეკვიზიტები. ასევე ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის . განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების მისიაა, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით, მაღალკვალიფიციური პერსონალის ,ტურისტული პოტენციალის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას. მისიით და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ქართულ ენაზე და არ არის განსაზღვრული პრიორიტეტები საერთაშორისო ტიპის თანამშრომლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მას აქვს მხოლოდ ქართულენოვანი ვებ-გვერდი. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულება უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის N 04-168 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი", რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი, მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს. წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა გნმავითარებელი რეკომენდაცია იყო, რომ დაწესებულებას კატალოგში სრულყოფილად აესახა ინფორმაცია ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე რისი განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას ფილალებთან მიმართებით. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. ვებგვერდზე განთავსებული კატალოგში ასახულია ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განხორციელების ადგილის მითითებით. შესაბამისად ექპერტთა მოსაზრებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილეულია.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ვებ-გვერდზე ხემისაწვდომია კატალოგის განახლებული ვერსია. კოლეჯის პროგრამების კატალოგის მომზადება/განახლება და ვებგვერდზე განთავსება ევალება საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომლესაც აღნიშნული ფუნქცია გაწერილი აქვს ხელშეკრულების დანართის სამუშაო აღწერილობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის ''ჰორიზონტი'' ''საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის'' თანახმად, ხორციელდება დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი, ხოლო ანალიზის შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად. ანალიზის პროცესს ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით. ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ხშირად დასმული კითხვები და პასუხები აკუმულირდება ვებ- გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე და ექვემდებარება განახლებას. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში/ |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროსკოდი | 0411 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები ბრძანებით | კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბერის N 04-175 ბრძანება, ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 22.12 N 04-216 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ.N 76 მიმდებარე ტერიტორია |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | კოოპერაციული - 30 - პროფესიული სტუდენტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი,ჟორდანიას ქ.N 76 მიმდებარე |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზემოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებულისასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანისტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანისტუდენტებისთვის | 129 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

